

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

**ნინო კობახიძე**

**ექსფოლიაციური სინდრომი კატარაქტის  
გამო ოპერირებულ ქართული პოპულაციის  
პაციენტებში**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

თბილისი, 2020

ნაშრომი შესრულებულია დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის, კლინიკა „ჩიჩუბის სამედიცინო ცენტრ მზერა“-ს, სინგაპურის თვალის ეროვნული ცენტრისა და სინგაპურის თვალის კვლევითი ინსტიტუტის ბაზებზე.

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

- |                        |   |
|------------------------|---|
| <b>სერგო თაბაგარი,</b> | მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,<br>დავით ტვილდიანის სამედიცინო<br>უნივერსიტეტის პროფესორი |
| <b>გიორგი ჩიჩუა</b>    | მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,<br>ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის<br>მოწვეული პროფესორი          |
| <b>თინ აუნგი,</b>      | მედიცინის დოქტორი, სინგაპურის<br>თვალის კვლევითი ინსტიტუტის<br>პროფესორი                  |

**ოფიციალური ოპონენტები:**

- |                          |   |
|--------------------------|---|
| <b>მერაბ დვალი</b>       | მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,<br>თბილისის სახელმწიფო<br>სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი          |
| <b>ადამ კოტორაშვილი</b>  | ბიოლოგიის დოქტორი,<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის<br>მოწვეული პროფესორი                            |
| <b>თინათინ ზურაშვილი</b> | მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,<br>დავით ტვილდიანის სამედიცინო<br>უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი |

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 29 ოქტომბერს სთ-ზე დავით ტვილდიანის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში (0159, თბილისი, ლუბლიანას ქ 13/მ.ჭიაურელის ქ. 6)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2020 წლის 15 ოქტომბერს.

სწავლული მდივანი

**მარიამ ვაჩნაძე**

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

### პრობლემის აქტუალობა

ექსფოლიაციური სინდრომი წარმოადგენს ასაკთან შეჭიდულ დაავადებას, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანთან გვხვდება. მისი ზუსტი გავრცელება საქართველოში უცნობია, თუმცა ოფთალმოლოგები და განსაკუთრებით წინა მონაკვეთის ქირურგები თანხმდებიან, რომ ის ძალიან ხშირია კატარაქტით დაავადებულ პაციენტებში. ექსფოლიაციური სინდრომი არის ყველაზე მძიმე გართულებების მიზეზი კატარაქტის ქირურგიის დროს.

ექსფოლიაციური სინდრომი ხასიათდება ფიბრილური ექსტრაცელულური ნივთიერების ჰიპერპროდუქციით და პროგრესული აკუმულირებით თვალის წინა მონაკვეთის სხვადასხვა სტრუქტურებში. მისი პათოგენეზი უცნობია. ასევე უცნობია, რა მექანიზმებით ხდება მეორადი ექსფოლიაციური გლაუკომის განვითარება სინდრომით დაავადებულ პაციენტთა ნაწილში. ამ ტიპის გლაუკომა ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ მიმდინარე ფორმაა, ნაკლებად ექვემდებარება კონსერვატულ მკურნალობას, სწრაფად პროგრესირებს და ხშირად საჭიროებს ადრეულ ქირურგიულ ჩარევებს.

ექსფოლიაციური სინდრომს ხშირად სხვადასხვა სისტემურ დაავადებას უკავშირებენ. განსაკუთრებით საყურადღებოა სისტემურის სხლძარღვოვანი პათოლოგიები, როგორცაა გულის იშემიური დაავადება, მიოკარდიუმის ინფარქტი და ცერებროვასკულური დაავადება. ამ დაავადებებთან კავშირს ხსნიან ექსფოლიაციური ნივთიერებების სისხლძარღვების კედლებში ჩალაგებით, რის შედეგადაც შესაძლოა დაირღვეს სისხლძარღვების

ელასტიურობა და განვითარდეს იშემია სხვადასხვა ორგანოში.

მრავალი კვლევა მიუთითებს ექსფოლიაციური სინდრომის გენეტიკურ წარმომავლობაზე. ცნობილია, რომ მისი გავრცელება სხვადასხვა სხვადასხვა პოპულაციაში და მეტწილად გვხვდება მისი ოჯახური აგრეგაცია. პირველი გენეტიკური მარკერი აღმოჩენილ იქნა 2007 წელს, თუმცა ამავე კვლევამ აჩვენა, რომ ეს პოლიმორფიზმები შესაძლოა ჯანმრთელ ინდივიდებშიც შეგვხვდეს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მხოლოდ ერთი გენის პოლიმორფიზმები ვერ იქნება ექსფოლიაციური სინდრომისა და ექსფოლიაციური გლაუკომის გამომწვევი მიზეზი. შესაბამისად, ეს საკითხი მომდევნო კვლევებს საჭიროებს.

## **კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ექსფოლიაციურისინდრომისგავლენაკატარაქტისქირურგიის დროს გამოვლენილ სირთულეებსა და გართულებებზე, ასევე განგვესაზღვრა მისი ეპიდემიოლოგიური და ეპიდგენეტიკური მახასიათებლები და კავშირი სისტემურ სისხლძარღვოვან დაავადებებთან ქართველ პაციენტებში.

## **კვლევის ამოცანები**

- შესწავლილ იქნას ექსფოლიაციური სინდრომის გავრცელება კატარაქტის მქონე პაციენტებში
- შესწავლილ იქნას ექსფოლიაციური გლაუკომის გავრცელება კატარაქტის მქონე პაციენტებში
- განისაზღვროს ექსფოლიაციური სინდრომის კავშირის სისტემურ სისხლძარღვოვან დაავადებებთან

- განისაზღვროს LOXL1, CACNA1A, POMP, SEMA6A, TMEM136, RBMS3 and AGPAT1 გენების პოლიმორფიზმების კავშირი ექსფოლიაციურ სინდრომთან
- განისაზღვროს LOXL1, CACNA1A, POMP, SEMA6A, TMEM136, RBMS3 and AGPAT1 გენების პოლიმორფიზმების კავშირი ექსფოლიაციურ გლაუკომასთან

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

საქართველოში არ მოიპოვება კვლევა, რომელიც შეაფასებდა ექსფოლიაციური სინდრომის გავლენას კატარაქტის ქირურგიაზე. არ არის შესწავლილი მისი ეპიდემიოლოგია და სინდრომით გამოწვეული ქირურგიული ტექნიკური სირთულეები, ასევე გართულებები, რომლებიც ექსფოლიაციურ სინდრომთან არის კავშირში.

ლიტერატურაში ბევრია კვლევა, რომელიც ცდილობს შეაფასოს ექსფოლიაციური სინდრომის კავშირი სხვადასხვა სისტემურ სისხლძარღვოვან პათოლოგიასთან, თუმცა შედეგები ყველა კვლევას სხვადასხვა აქვს. ეს საკითხი ასევე არ შესწავლილა ეთნიკურ ქართველებში.

ლიტერატურაში ასევე ბევრია ისეთი კვლევა, რომელიც ექსფოლიაციური სინდრომის გენეტიკურ საწყისებს სწავლობს, თუმცა ყველა ავტორი LOXL1 გენის პოლიმორფიზმების შესწავლით იფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ გენის პოლიმორფიზმები მნიშვნელოვნად ზრდის სინდრომის განვითარების რისკს, პათოგენეზური მექანიზმები აუხსნელია და, შესაბამისად, ეს საკითხიც უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს.

## ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

აღნიშნული ნაშრომი პირველი მცდელობაა საქართველოში ექსფოლიაციური სინდრომის კატარაქტის ქირურგიაზე გავლენის დახასიათებისა. ჩვენ ვაფასებთ მის კავშირს გულსისხლძარღვთა პათოლოგიებთან, რათა დავაზუსტოთ ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა სახის მოსაზრებები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს პირველი კვლევაა, რომელიც ახასიათებს ექსფოლიაციური სინდრომისა და გლაუკომის გენეტიკურ საწყისებს ეთნიკურ ქართველებში, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ამ მდგომარეობის პათოგენეზის შესწავლის პროცესში.

## ნაშრომის აპრობაცია

ნაშრომის აპრობაცია შედგა კლინიკა „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრ მზერა“-ში 2020 წლის 29 ივლისს.

სადისერტაციო მასალები და შედეგები მოხსენებულ იქნა:

1. მე-13 საერთაშორისო სამედიცინო პოსტდიპლომურ კონფერენციაზე, ჩარლის უნივერსიტეტი, 24-25 ნოემბერი 2016, ჰრადეც კრალოვე, ჩეხეთი
2. საქართველოს ოფთალმოლოგთა ასოციაციისა (GOS) და ევროპის ოფთალმოლოგთა ასოციაციის (SOE) მე-2 ერთობლივ კონგრესზე, 10-12 ივნისი 2016, თბილისი, საქართველო
3. ევროპის კატარაქტისა და რეფრაქციული ქირურგიების საზოგადოების (ESCRS) 34 კონგრესზე. 10-14 სექტემბერი, 2016, კოპენჰაგენი, დანია
4. საქართველოს ოფთალმოლოგთა ასოციაციისა (GOS) და ევროპის ოფთალმოლოგთა ასოციაციის (SOE)

მე-3 ერთობლივ კონგრესზე, 30 ივნისი - 1 ივლისი, 2018, თბილისი, საქართველო

5. ევროპის კატარაქტისა და რეფრაქციული ქირურგიების საზოგადოების (ESCRS) 36 კონგრესზე. 22-26 სექტემბერი 2018, ვენა ავსტრია

სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებულია 3 სტატია და 3 თეზისი, სადაც ასახულია დისერტაციის ძირითადი შედეგები, რაც შეესაბამება აკადემიური ხარისხის მინიჭების დებულებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს.

კვლევა შესრულდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროექტის PhD 2016\_39 ფარგლებში. მადლობას ვუხდით ფონდს მხარდაჭერისთვის.

## **დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა**

დისერტაცია შესრულებულია ინგლისურ ენაზე, შედგება 8 ნაწილისგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, კვლევის შედეგები, შედეგების განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს 93 გვერდს, ილუსტრირებულია 10 სურათით და 15 ცხრილით. ლიტერატურა მოიცავს 134 წყაროს.

## **კვლევის დიზაინი**

ჩვენს მიერ წარმოდებული კვლევა იყო შემთხვევა-კონტროლის ტიპის. კვლევის ხანგრძლივობა 4 წელი.

კვლევაში ჩართული იყო ავტორის მიერ კატარაქტის გამო ოპერირებული პაციენტები. პაციენტები დაიყო 2

ჯგუფად. საკვლევი ჯგუფი შეადგინა ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებმა, რომელთა შორის გამოიყო ექსფოლიაციური გლაუკომის მქონე პაციენტების ქვეჯგუფი. საკონტროლო ჯგუფი შეადგინეს პაციენტებმა, რომელთაც ექსფოლიაციური სინდრომი არ დაუდასტურდათ.

## **ეთიკური თანხმობა**

კვლევის ეთიკური მხარე შეფასებულ იქნა დავით ტვილდიანის სახ. უნივერსიტეტის ეთიკური კომისიის მიერ. კვლევაში ჩართულმა ყველა პაციენტმა მოაწერა ხელი ინფორმირებული თანხმობის წერილობით ფორმას.

## **კვლევის მეთოდები**

კვლევაში ჩაერთო შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრ მზერა“-ში ავტორის მიერ კატარაქტის გამო ოპერირებული პაციენტები. პაციენტებს უტარდებოდათ სტანდარტული ოფთალმოლოგიური კვლევები, რომლებიც მოიცავდა აუტორეფრაქტომეტრიას, კერატომეტრიას, მხედველობის სიმახვილის განსაზღვრას, ტონომეტრიას, ბიომიკროსკოპიას, ოფთალმოსკოპიას, ექობიომეტრიას. კომპიუტერული პერიმეტრია ტარდებოდა გლაუკომის დიაგნოსტიკის შემთხვევაში. ექსფოლიაციური სინდრომის დიაგნოსტიკა ხდებოდა ბიომიკროსკოპიის დროს გუგის კიდეზე ან ბროლის წინა კაფსულაზე ექსფოლიაციური ნივთიერებების აღმოჩენის საფუძველზე. ექსფოლიაციური გლაუკომის დიაგნოზი ისმებოდა აღნიშნულ ცვლილებებთან ერთად, მხედველობის ნერვის დვრილის დამახასიათებელი ცვლილებების აღმოჩენის შემთხვევაში. პაციენტები, რომლებსაც დაუდასტურდათ სინდრომის არსებობა, ჩაერთვნენ საკვლევ ჯგუფში,



რომელშიც გამოიყო ექსფოლიაციური გლაუკომის მქონეთა ქვეჯგუფი. საკონტროლო ჯგუფში გაერთიანდნენ მხოლოდ კატარაქტის დიაგნოზის მქონე პაციენტები. გამორიცხვის კრიტერიუმად ითვლებოდა უვეიტისა და ნეოვასკულარული გლაუკომის დიაგნოზი.

ყველა პაციენტს უტარდებოდა სისხლის რუტინული ანალიზები და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ფასდებოდა ზოგადი პროფილის ექიმის მიერ. დამატებით ელექტროკარდიოგრაფია ტარდებოდა თერაპევტის გადაწყვეტილებით, საჭიროების მიხედვით. აღინიშნებოდა სისტემური კომორბიდობები, რომლებიც, შემდგომ შესწავლილ იქნა რეტროსპექტულად ელექტრონული მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

ყველა პაციენტს ჩაუტარდა ფაკომულსიფიკაცია და ხელოვნური ბროლის იმპლანტაცია სტანდარტული მეთოდით, რომელიც მოცავდა ორ პარაცენტეზს, ძირითად 2.75 მმ-იან განაკვეთს, მრგვალ უწყვეტ კაფსულორექსისს, ფაკომულსიფიკაციას Infiniti ფაკომანქანით (Alcon, USA), კორტიკალური მასების მოცილებას ბიძანუალურად, იოლ-ის იმპლანტაციას და ჭრილობების დახურვას ფიზიოლოგიური ხსნარით იმბიბირებით. ძალიან ვიწრო გუგების შემთხვევაში გამოიყენებოდა ირის-რეტრაქტორები, ბროლის სუბლოქსაციის დროს ინტრაკაფსულური რკალები და კაფსულის რეტრაქტორები. ცინის იოგების მნიშვნელოვანი დიალიზის შემთხვევაში, თვალი რჩებოდა აფაკიური და იგეგმებოდა დამატებითი ჩარევა იოლ-ის იმპლანტაციისთვის სკლერაზე ფიქსაციით.

პრეოპერაციულად ასევე ვიღებდით 5მლ ვენურ სისხლს, რომელიც ინახებოდა მაცივარში EDTA-ს შემცველ სინჯარებში. გენეტიკური კვლევისთვის მასალა იგზავნებოდა სინგაპურის თვალის კვლევითი ინსტიტუტის გენეტიკურ

ლაბორატორიაში.

Illumina OmniExpress მიკროჩიპების საშუალებით ხდებოდა გენომის სრული კვლევა - Genome-Wide Association Study (GWAS). ამ პროცესისთვის გამოიყენებოდა ჩიპები, რომლებიც დაფარულია ათასობით მიკროსკოპული წერტილით, რომლებიც შეიცავს დნმ-ის ერთჯაჭვიან ფრაგმენტებს. ეს ფრაგმენტები ადამიანის გენომში არსებულ დნმ-ის ფრაგმენტების შესაბამისია. საკვლევი პაციენტების სისხლიდან მიიღებოდა დენატურირებული დნმ-ის ფრაგმენტები, რომლებიც დაიტანებოდა მიკროჩიპებზე. კომპლემენტარული ჯაჭვების ბმის შემდეგ, ჩიპებზე ხდებოდა დნმ პოლიმერაზისა და ფლორესცენით მონიშნული ნუკლეოტიდების დატანა, რის შედეგადაც წარმოიქმნებოდა სინთეზური დნმ-ის ჯაჭვები. მონიშნული ნუკლეოტიდების ნათების სკანირება ხდებოდა მაღალი რეზოლუციის მქონე ლაზერის საშუალებით, რომელიც ახდენდა პოლიმორფიზმების იდენტიფიცირებას.

### **სტატისტიკური ანალიზი**

მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ჩატარდა სტატისტიკური პროგრამა R-ის საშუალებით. გამოყენებულ იქნა ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზი,  $\chi^2$  (პირსონის კორექციით), OR 95%-იანი სარწმუნო ინტერვალით. პოლიმორფიზმები, რომლებმაც გადააჭარბეს  $P \leq 5 \times 10^{-8}$ -ს, მიჩნეულ იქნენ ექსფოლიაციურ სინდრომთან ასოცირებული გენებად.

## კვლევის შედეგები

**ექსფოლიაციური სინდრომის გავლენა კატარაქტის ქირურგიაზე** - კვლევის ეპიდემიოლოგიურ ნაწილში ჩაერთო ავტორის მიერ კატარაქტის გამო ოპერირებული 863 პაციენტი, საშუალო ასაკით 74(+3.7) წელი. პაციენტების 43% შეადგინეს ქალებმა, ხოლო 57% მამაკაცებმა. ექსფოლიაციური სინდრომის მქონე სულ 310 (36%) პაციენტი იდენტიფიცირდა, საიდანაც 13%-ს აღმოაჩნდა ექსფოლიაციური გლაუკომა. 553-მა პაციენტმა შეადგინა საკონტროლო ჯგუფი.

**ცხრილი 1.** პაციენტების დემოგრაფიული მახასიათებლები, რომლებსაც ავტორის მიერ ჩაუტარდათ ფაკოემულსიფიკაცია

ჯგუფი		მამაკაცი	ქალი
ჯამი	863	492 (57 %)	371 (43 %)
XFS	310 (36%)	139 (44.8 %)	171 (55.2 %)
XFS მხოლოდ	270 (87%)	117 (43 %)	153 (57 %)
XFG	40 (13%)	22 (55 %)	18 (45 %)
საკონტროლო	553 (64%)	255 (46 %)	298 (54 %)


ცხრილ 2-ში მოცემულია პაციენტების რაოდენობა, რომელთანაც აღნიშნა სხვადასხვა სახის ტექნიკური სირთულეები ფაკოემულსიფიკაციის დროს. ეს ცხრილი მოიცავს როგორც საკვლევი, ასევე საკონტროლო ჯგუფის პაციენტებს. ყველაზე ხშირი სირთულე იყო არასათანადო მიდრიაზეი პაციენტების 17%-ში, ცინის იოგების სისუსტე/დიალიზი - 15%-ში, ძალიან ღრმა ან ძალიან ვიწრო წინა საკანი, რაც ართულებდა ფაკოემულსიფიკაციას 8 და 9%-ში,

შესაბამისად. დამატებითი ქირურგიული მანიპულაციები, როგორცაა ინტრაკაფსულური რალებისა და კაფსულის რეტრაქტორების გამოყენება, საჭირო გახდა შემთხვევების დაახლოებით 15%-ში. წინა ვიტრექტომია ჩატარდა 10 პაციენტს.

**ცხრილი 2.** პაციენტები, რომელთანაც ფაკომულსიფიკაციის დროს აღინიშნა ტექნიკური სირთულეები

სირთულე	რაოდენობა	%
ვიწრო გუგა	151	17
ცინის სისუსტე/დიალიზის იოგების	129	14.9
ღრმა წინა საკანი	62	7.2
ვიწრო წინა საკანი	80	9.3
ინტრაკაფსულური რკალი CTR	121	14.9
CTR და კაფსულის რეტრაქტორები	6	0.7
წინა ვიტრექტომია	10	1.2

**დიაგრამა 1. პაციენტები, რომლებთანაც ვაკოემულსიფიკაციის დროს აღინიშნა ტექნიკური სირთულეები**




მე-3 ცხრილსა და მე-2 დიაგრამაზე ნაჩვენებია ინტრაოპერაციული გართულებები კატარაქტის ქირურგიის დროს. საბედნიეროდ, ოპერირებული პაციენტების მხოლოდ 1.2%-ში დასრულდა ცუდი შედეგით და საჭირო გახდა დამატებითი ქირურგიული ჩარევა. ბროლის ჩანთის დაკარგვა და მინისებრის დაღვრა, ასევე უკანა კაფსულის დარღვევა დაფიქსირდა პაციენტების 1%-ში. კლინიკური და მხედველობითი გამოსავლების შეფასება ამ ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენდა, ჩვენ ვაფასებდით მხოლოდ ფაკოემულსიფიკაციის ტექნიკურ მხარეს.

**ცხრილი 3.** პაციენტები, რომლებთანაც ფაკომულსიფიკაციის დროს აღინიშნა გართულებები

გართულება	რაოდენობა	%
ბროლის ჩანთის დაკარგვა	10	1.2
მინისებრის დაღვრა	7	0.8
უკანა კაფსულის დარღვევა	11	1.3
აფაკია იოლ-ის მეორადი იმპლანტაციით	10	1.2

**დიაგრამა 2.** პაციენტები, რომელთანაც ფაკომულსიფიკაციის დროს აღინიშნა გართულებები



შემდეგი ინტრაოპერაციული ტექნიკური სირთულეები და გართულებები იქნა ნანახი ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით:


ვიწრო გუგა 138 (51%) ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებში, 13 (2.3%) -ის წინააღმდეგ. ( $p < 0.05$ , OR 43.4, 95% CI 23.842 to 79.099). ცინის იოგების სისუსტე/დიალიზი 121 პაციენტში (39%), 8 (1.4%) კონტროლთან შედარებით ( $p < 0.05$ , OR 56.1, 95% CI 26.836 to 117.4). ამ უკანასკნელ შემთხვევებში აღინიშნებოდა თვალის გადატანილი გადატანილი ტრავმები. ძალიან ღრმა წინა საკანი შეგვხვდა 41 (13%) საკვლევ და 21 (3.7%) საკონტროლო ჯგუფის პაციენტში. ( $p < 0.05$ , OR 1.29, 95% CI 2.671 to 7.99553). ამ მდგომარეობას საკონტროლო ჯგუფში მეტწილად ახლდა მაღალი მიოპია. მეორეს მხრივ, ვიწრო საკანი ჰქონდა 49 (16%) საკვლევ და 31 (5.5%) საკონტროლო ინდივიდს ( $p < 0.05$ , OR 3.8, 95% CI 2.363 to 6.127).

გამომდინარე ცინის იოგების დიალიზის მოცულობიდან, იმპლანტირებულ იქნა ან მხოლოდ ინტრაკაფსულარული რკალები (121 პაციენტი, 39%) ან რკალები და კაფსულის რეტრაქტორები (5 პაციენტი – 2%). საკონტროლო ჯგუფში რკალი გამოყენებულ იქნა 8 შემთხვევაში (მეტწილად უკავშირდება ტრავმას), ხოლო რეტრაქტორები მხოლოდ 1 შემთხვევაში ( $p < 0.05$ , OR 56.1, 95% CI 26.836 to 117.422) და ( $p < 0.05$ , OR 10.6, 95% CI 1.233 to 91.214), შესაბამისად. წინა ვიტრექტომია ჩატარდა 9 ძირითადი და 1 საკონტროლო ჯგუფის პაციენტს (OR 19.3795% CI 2.442 to 153.762). ეს მონაცემები მოცემულია მე-4 ცხრილსა და მე-3 დიაგრამაზე.

**ცხრილი 4.** ტექნიკური სირთულეები ექსფოლიაციური სინდრომის მქონე და ჯანმრთელ პაციენტებში.

სირთულე	Cases	Controls	P	OR (95% CI)
	N=270 (%)	N=553 (%)		
ვიწრო გუბა	138 (51)	13 (2.3)	<0.05	43.4 (23.842 to 79.099)
ცინის იოგების სისუსტე/დიალიზი	121 (39)	8 (1.4)	<0.05	56.1 (26.836 to 117.4)
ღრმა წინა საკანი	41 (13)	21 (3.7)	<0.05	1.29 (2.671 to 7.99553)
ვიწრო წინა საკანი	49 (16)	31 (5.5)	<0.05	3.8 (2.363 to 6.127)
ინტრაკაფსულური რკალი CTR	121 (39)	8 (1.4)	<0.005	56.1 (26.836 to 117.422)
CTR და კაფსულის რეტრაქტორები	5 (2)	1 (0.2)	<0.05	10.6 (1.233 to 91.214)
წინა ვიტრექტომია	9 (3)	1(0.2)	<0.05	19.37 (2.442 to 153.762)

**დიაგრამა 3.** ტექნიკური სირთულეები ექსფოლიაციური სინდრომის მქონე და ჯანმრთელ პაციენტებში.






ბროლის ჩანთის შენარჩუნება ვერ მოხერხდა ექსფოლიაციური სინდრომის მქონე 9 (3%) პაციენტში, მინისებრის დაღვრა დაფიქსირდა 6 (2%) პაციენტში. საკონტროლო ჯგუფიდან მხოლოდ 1 პაციენტში მოხდა კაფსულისა და მინისებრის კარგვა. ამ პაციენტს ანამნეზში ჰქონდა გადატანილი ტრავმა ( $p < 0.05$ , OR 19.37, 2.442 to 153.762) და ( $p < 0.05$ , OR 13.8, 95% CI 1.53 to 106.63), შესაბამისად. ამ პაციენტთან ჩარევა დასრულდა აფაკით და დაიგეგმა იოლის იმპლანტაცია სკლერაზე ფიქსაციით. უნდა აღინიშნოს, რომ ცხრავე პაციენტს საკვლევი ჯგუფიდან აღნიშნებოდა მეოთხე ხარისხის ყავისფერი კატარაქტა, რაც კომბინაციაში ექსფოლიაციურ სინდრომთან, წარმოადგენს ყველაზე დიდ სირთულეს კატარაქტის ქირურგიაში.

ცხრა სინდრომის მქონე პაციენტში დასრულდა ოპერაცია აფაკით (3%) შედარებით 1 (0.2%) ტრავმულ კატარაქტასთან ექსფოლიაციების გარეშე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ( $p < 0.05$ , OR 10.6, 95% CI 2.442 to 153.762). უკანა კაფსულის გახევა დაფიქსირდა ერთნაირი რაოდენობის პაციენტში ორივე ჯგუფში, განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ იყო. ყველა შემთხვევაში იოლ იმპლანტირდა სულკუსში და დამატებითი ქირურგიული ჩარევის საჭიროება არ დამდგარა.

**ცხრილი 5.** გართულებები ექსფოლიაციური სინდრომის მქონე და ჯანმრთელ პაციენტებში.

გართულება	Cases	Controls	P value	OR (95% CI)
	N=270 (%)	N=553 (%)		
ბროლის ჩანთის დაკარგვა	9 (3)	1 (0.2)	<0.005	19.37 (2.442 to 153.762)
მინისებრის დაღვრა	6 (3)	1(0.2)	<0.005	13.8 (1.53 to 106.63)
უკანა კაფსულის დარღვევა	6 (2)	5 (0.8)	>0.05	2.5 (0.767 to 8.386)
აფაკია იოლ-ის მფორადი იმპლანტაციით	9 (3)	1 (0.2)	<0.05	19.37 (2.442 to 153.762)

**დიაგრამა 4.** გართულებები ექსფოლიაციური სინდრომის მქონე და ჯანმრთელ პაციენტებში.



**ექსფოლიაციური სინდრომი და სისტემური სისხლძარღვოვანი დაავადებები** – კვლევის ამ ნაწილში ჩაერთო 236 დაავადებული და 250 ჯანმრთელი პაციენტი,

საუალო ასაკით 76 (+6.1) წელი. მათი დემოგრაფიული მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 2-ში.

**ცხრილი 6.** პაციენტების დემოგრაფიული მახასიათებლები, რომლებთანაც შესწავლილ იქნა ექსფოლიაციური სინდრომის სისტემურ სისხლძარღვოვან დაავადებებთან კავშირი.


ჯგუფი	ჯამი	მამაკაცი	ქალი
XFS	236	108 (46 %)	128 (54 %)
XFS ხოლოდ	205 ( 87%)	91 (44 %)	114 (56 %)
XFG	31 (15 %)	17 (55 %)	14 (45 %)
კონტროლი	150	76 (30 %)	174 (70 %)

ჩვენი კვლევის შედეგად არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი ასოციაცია ექსფოლიაციურ სინდრომსა და არტერიულ ჰიპერტენზიას შორის, თუმცა ჩვენ აღმოვაჩინეთ კორელაცია სინდრომსა და გულის იშემიურ დაავადებას შორის. ექსფოლიაციური სინდრომის არსებობა 80%-ით ზრდიდა გიდ-ის რისკს ( $p=0.02$ , OR 1.8; 95% CI: 1.141 to 2.763). ასევე მაღალი იყო მიოკარდიუმის ინფარქტის რისკი ( $p=0.05$ , OR 1.8; 95% CI: 0.99 to 3.604) და ცერებროვასკულარული მოვლენების რისკი ( $p=0.01$ , OR=3; 95% CI: 1.254 to 7.37). ჯამში სისხლძარღვოვანი პათოლოგიების განვითარების რისკი ამ ჯგუფში იყო გაორმაგებული ( $p=0.0002$  OR=3; 95% CI: 1.454 to 3.327) (ცხრილი 3).

**ცხრილი 7.** ექსფოლიაციური სინდრომის ასოციაცია სისტემურ სისხლძარღვოვან დაავადებებთან

	Cases	Controls	P value	OR (95% CI)
	<b>N=236</b>	<b>N=250</b>		
გოდ	62 (26%)	41 (16%)	0.02	1.8 (1.141 to 2.763)
გოდ და მი	27 (11%)	16 (6%)	0.05	1.9 (0.99 to 3.604)
ინსულტი/ტიშ	19 (8%)	7 (3%)	0.01	3 (1.254 to 7.37)
ჯამი	81(34)	48(19)	0.0002	2.2 (1.454 to 3.327)

**დიაგრამა 5.** ექსფოლიაციური სინდრომის ასოციაცია სისტემურ სისხლძარღვოვან დაავადებებთან



**ექსფოლიაციური სინდრომის გენეტიკა** – გენეტიკურ კვლევაში ჩართული იყო 139 პაციენტი საშუალო ასაკით 73.7 (+ 6.4) წელი, 73 პაციენტი (56%) იყო ქალი, ხოლო 59 პაციენტი (44%) იყო მამაკაცი. 114 (86%) პაციენტს ქონდა მხოლოდ ექსფოლიაციური სინდრომი, ხოლო 14%-ში შეგვხვდა ექსფოლიაციური გლავუკომა. საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 199-მა პაციენტმა, რომელთაც არ ჰქონდათ ექსფოლიაციური სინდრომის რაიმე კლინიკური ნიშანი. 130 (65%) პაციენტი იყო ქალი და 69 (35%) პაციენტი იყო მამაკაცი. დემოგრაფიული

მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 4-ში.

**ცხრილი 8.** გენეტიკურ კვლევაში ჩართული პაციენტების დემოგრაფიული მახასიათებლები

	ჯამი	მამაკაცი	ქალი
XFS	132	59 (44 %)	73 (56 %)
XFS მხოლოდ	114 (86%)	49 (43 %)	65 (57 %)
XFG	18 (14 %)	10 (55 %)	8 (45 %)
კონტროლი	199	69 (35 %)	130 (65 %)

LOXL1-ის სამი ვარიანტი იქნა ქართველ ინდივიდებში იდენტიფიცირებული: rs2165241, rs4886776 (R141L) და rs8042039 (G153D). პირველი არის ინტრონული, ხოლო დანარჩენი ორი არის ეგზონური ვარიანტები, რომლებიც 99%-ით იდენტურნი არიან ყველაზე ფართოდ ცნობილი rs1048661 და rs3825942 პოლიმორფიზმებისა. მე-5 ცხრილში მოცემულია მათი ალელებისა და გენოტიპების ასოციაცია ექსფოლიაციურ სინდრომთან.

rs2165241 A ალელის სიხშირე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ძირითადი და საკონტროლო გჯუფის პაციენტებში ( $p=0.0001$ ) და ის დაავადების განვითარების რისკს ზრდიდა თითქმის 4-ჯერ ( $OR=3.8$ ; 95% CI 2.6339 to 5.5802). ის დაავადებულთა 83%-ში გვხვდებოდა. მათი 70% იყო ჰომოზიგოტი, რაც მათ რისკს 6-ჯერ ზრდიდა ( $p=0.0001$ ;  $OR= 5.7$ ; 95% CI: 1.9518 to 16.5321). ჰეტეროზიგოტებში რისკი იზრდებოდა 4.5-ჯერ ( $p=0.0001$ ;  $OR= 4.5$ ; 95% CI: 2.8199 to 7.2454). საინტერესოა, რომ ჯანმრთელი ინდივიდების თითქმის 60%-ში შეგვხვდა rs2165241-ს მაღალი რისკის ალელი და მათი მესამედი იყო ჰომოზიგოტი.


rs4886776-ის G ალელი კიდევ უფრო მეტ რისკთან ასოცირდა. იგი შეგვხვდა დაავადებულთა 90%-ში. G ალელთან ასოცირდებოდა 5-ჯერ გაზრდილი დაავადების რისკი ( $p=0.0001$ ,  $OR=5.2$ ; 95% CI 3.2732 to 8.2217). საინტერესოა, რომ ჰეტეროზიგოტური დამემკვიდრება არ ზრდის დაავადების განვითარების რისკს, ხოლო ჰომოზიგოტური - ზრდის რისკს 10-ჯერ ( $p=0.0001$ ;  $OR=9.2$ ; 95% CI 5.4476 to 15.7981). G ალელი ჯანმრთელი ადამიანების მესამედში, ხოლო მათი ნახევარი გახლდათ ჰომოზიგოტი.

რაც შეეხება rs8042039-ის G ალელს, ის ექსფოლიაციური სინდრომის განვითარების რისკს ზრდიდა 5-ჯერ ( $p=0.0001$ ;  $OR=4.9$ ; 95% CI 2.6378 to 9.3135). ამ შემთხვევაშიც ჰეტეროზიგოტები არ იყვნენ გაზრდილი რისკის ქვეშ, ხოლო ჰომოზიგოტური დამემკვიდრების შემთხვევაში რისკი იზრდებოდა 6-ჯერ. G ალელი გვხვდებოდა ჯანმრთელი ინდივიდების 80%-ში და მათი მესამედი იყო ჰომოზიგოტი.

**ცხრილი 9.** LOXL1 გენის ალელებისა და გენოტიპების ასოციაცია ექსფოლიაციურ სინდრომთან.

SNP		Controls % (n=199)	XFS % (n=132)	P value	OR (95% CI)
<b>rs2165341</b>					
<b>Allele</b>	A	58.5	82.6	0.0001	3.8 (2.6339 to 5.5802)
	G	41.5	17.4	0.0001	0.2 (0.1387-0.3576)
<b>Genotype</b>	AA	32.2	68.2	0.0001	5.7 (1.9518 to 16.5321)
	GA	52.7	28.8	0.0001	4.5 (2.8199 to 7.2454)
	GG	15.1	3	0.0001	0.2 (0.0313 to 0.2781)
	Total	64/105/30 (AA/GA/GG)	90/38/4 (AA/GA/GG)		
<b>rs4886776</b>					
<b>Allele</b>	G	64.8	90.5	0.0001	5.2 (3.2732 to 8.2217)
	A	35.2	9.5	0.0001	0.2 (0.1216 to 0.3055)
<b>Genotype</b>	GG	32.7	81.8	0.0001	9.2 (5.4476 to 15.7981)
	GA	64.3	17.4	0.19	4.1 (0.4846 to 34.2232)
	AA	3	0.8	0.0001	0.1 (0.0165-1.1782)
	Total	65/128/6 (GG/GA/AA)	108/28/1 (GG/GA/AA)		
<b>rs8042039</b>					
<b>Allele</b>	G	80.9	95.4	0.0001	4.9 (2.6378 to 9.3135)
	A	19.1	4.5	0.0001	0.2 (0.0286 to 2.0209)
<b>Genotype</b>	GG	64.8	91.7	0.0001	5.9 (3.0168 to 11.8102)
	AG	32.2	7.5	0.16	4.1 (0.4846 to 34.2232)
	AA	3	0.8	0.0001	0.2 (0.0233 to 1.6544)
	Total	129/64/6 (GG/GA/AA)	121/10/1 (GG/GA/AA)		

**დიაგრამა 6.** LOXL1 ექსფოლიაციური სინდრომის მქონე და ჯანმრთელ პაციენტებში



ჩვენ ასევე მოვახდინეთ 6 სხვა გენის იდენტიფიცირება, როგორცაა CACNA1A rs4926244, POMP rs7329408, TMEM136 rs11827818, AGPAT1 rs3130283, RBMS3 rs12490863 და SEMA6A rs10072088.

ამ გენებიდან, მხოლოდ SEMA6A, POMP და CACNA1A აღმოჩნდა ექსფოლიაციურ სინდრომთან კავშირში. SEMA6A-ს G ალელი, რომელიც ფიგურირებს ლიტერატურაში, არ აღმოჩნდა დაავადებასთან კავშირში ქართულ პოპულაციაში, არამედ სარისკო აღმოჩნდა A ალელი. მისი სიხშირე მნიშვნელოვნად მეტი იყო ჯანმრთელ ინდივიდებთან შედარებით ( $p=0.001$ ). ის დაავადების განვითარების რისკს ზრდიდა 80%-ით. ის დაავადებულთა 81%-ში შეგვხვდა, მათდან 65% იყო ჰომოზიგოტი. ჰეტეროზიგოტული დამემკვიდრების შემთხვევაში რისკი იზრდებოდა 2-ჯერ ( $p=0.001$ ; OR = 1.8; 95% CI: 1.2676 to 2.6973), ხოლო ჰომოზიგოტური დამემკვიდრებისას - 4-ჯერ ( $p=0.001$ ; OR= 4.0; 95% CI: 1.1531 to 13.9903). საინტერესოა, რომ A ალელი




შეგვხვდა ჯანმრთელი პაციენტების 70%-ში და მათი ნახევარი იყო ჰომოზიგოტი.

POMP-ის მაღალი რისკის მქონე A ალელი შეგვხვდა დაავადებულთა მხოლოდ 16%-ში. ის დაავადების რისკს ზრდიდა 60%-ით ( $p=0.005$ ; OR= 1.6; 95% CI: 0.9931 to 2.5634). ჰეტეროზიგოტებში გაზრდილი რისკი არ აღინიშნა, ხოლო ჰომოზიგოტებში რისკი იზრდებოდა 70%-ით. ჯანმრთელ პაციენტებში A ალელი შეგვხვდა 10%-ში და მათი მხოლოდ 0.5% იყო ჰომოზიგოტი.

რაც შეეხება CACNA1A-ს, G ალელი აღმოჩნდა მაღალი რისკის მატარებელი. ის დაახლოებით 20%-ში შეგვხვდა როგორც ჯანმრთელ, ასევე დაავადებულ ადამიანებში და მხოლოდ ჰომოზიგოტური დამემკვიდრება აღმოჩნდა სარისკო. რისკი იზრდებოდა 3-ჯერ ( $p=0.05$ ; OR= 3.15; 95% CI: 0.9275 to 10.6658). შედეგები წარმოდგენილია მე-6 ცხრილში.

**Figure 7.** POMP, SEMA6A and CACNA1A ექსფოლიაციური სინდრომის მქონე და ჯანმრთელ პაციენტებში



**ცხრილი 10.** POMP, SEMA6A და CACNA1A გენების ალელებისა და გენოტიპების ასოციაცია ექსფოლიაციურ სინდრომთან.

SNP		Controls (n=199)	%	XFS (n=132)	%	P value	OR (95% CI)
<b>SEMA6A- rs10072088</b>							
<b>Allele</b>	A	70.4		81.4		0.001	1.8 (1.2676 to 2.6973)
	G	29.7		18.6		0.001	0.5 (0.3299 to 0.8166)
<b>Genotype</b>	GA	42.3		32.5		0.002	1.9 (1.2246 to 3.0316)
	AA	49.2		65.2		0.004	4.0 (1.1531 to 13.9903)
	GG	8.5		2.3		0.004	0.2 (0.0715 to 0.8672)
	Total	98/84/17 (AA/GA/GG)		86/3/43 (AA/GA/GG)			
<b>POMP- rs7329408</b>							
<b>Allele</b>	A	9.8		14.8		0.04	1.6 (0.9931 to 2.5634)
	G	90.2		85.2		0.05	0.6 (0.3901 to 1.0069)
<b>Genotype</b>	AG	18.6		28		0.7	1.5 (0.0937 to 24.3786)
	AA	0.5		0.8		0.05	1.7 (1.0217 to 2.8713)
	GG	80.9		71.2		0.05	0.6 (0.3483 to 0.9788)
	Total	161/37/1 (GG/AG/AA)		94/37/1 (GG/AG/AA)			
<b>CACNA1A- rs4926244</b>							
<b>Allele</b>	G	21.21		18.34		0.4	1.2 (0.8122 to 1.7690)
	A	78.8		81.7		0.4	0.8 (0.5653 to 1.2313)
<b>Genotype</b>	AG	42.3		32.5		0.7	1.08 (0.6801 to 1.7043)
	GG	8.5		2.3		0.05	3.15 (0.9275 to 10.6658)
	AA	49.2		65.2		0.05	0.3 (0.0938 to 1.0782)
	Total	40/84/8 (AG/AA/GG)		65/130/4 (AG/AA/GG)			

დანარჩენი სამი გენის TMEM136 rs11827818, AGPAT1 rs3130283, RBMS3 rs12490863 კვლევისას, რაიმე კავშირი ექსფოლიაციურ სინდრომთან ნანახი არ იქნა. ლიტერატურაში მოცემული მაღალი რისკის ალელები შეგვხვდა როგორც ჯანმრთელ, ასევე დაავადებულ პაციენტებში დაახლოებით 10-

15%-ში და მათთან დაავადების განვითარების მომატებული რისკი არ აღმოჩნდა.

**ცხრილი 11.** RBMS3, TMEM136 and AGPAT1 გენების ალელებისა და გენოტიპების ასოციაცია ექსფოლიაციურ სინდრომთან.

SNP		Controls (n=199)	%	XFS (n=132)	%	P value	OR (95% CI)
RBMS3- rs12490863							
Allele	A	9		10.7		<b>0.5</b>	1.2 (0.6797 to 1.9400)
	G	91		89.3		<b>0.5</b>	0.8 (0.5155 to 1.4712)
Genotype	GA	17.1		19.8		<b>0.5</b>	1.2 (0.6956 to 2.1274)
	AA	0.5		0.8		<b>0.8</b>	1.5 (0.6797 to 1.9400)
	GG	82.4		79.4		<b>0.8</b>	0.7 (0.4701 to 1.4376)
	Total	34/164/61 (GA/GG/AA)		104/26/1 (GA/GG/AA)			
TMEM136- rs11827818							
Allele	G	15.58		15.38		<b>0.9</b>	1.01 (0.6587 to 1.5637)
	A	84.4		84.6		<b>0.9</b>	0.9 (0.6395 to 1.5182)
Genotype	GA	27.1		27.7		<b>0.7</b>	1.004 (0.6175 to 1.6327)
	GG	2		1.5		<b>0.7</b>	1.3 (0.2370 to 7.2730)
	AA	70.9		70.8		<b>0.8</b>	0.7 (0.6125 to 1.6193)
	Total	54/141/4 (GA/GG/AA)		36/92/2 (GA/GG/AA)			
AGPAT1- rs3130283							
Allele	A	6.3		8.3		<b>0.3</b>	1.3 (0.7478 to 2.4600)
	C	93.7		91.7		<b>0.3</b>	0.7 (0.4065 to 1.3372)
Genotype	CA	12.6		16.7		<b>0.3</b>	1.3 (0.7352 to 2.5456)
	CC	87.4		83.3		<b>0.3</b>	0.7 (0.3928 to 1.360)
	AA	0		0			
	Total	54/141/4 (CA/CC/AA)		36/92/2 (CA/CC/AA)			


შემდეგ ეტაპზე გამოკვლეულ იქნა ზემოთხსენებული გენების კავშირი ექსფოლიაციურ გლაუკომასთან. ასოციაცია ნანახი იქნა შემდეგი გენების პოლიმორფიზმებთან: LOXL1, SEMA6A და POMP.

LOXL1 rs2165241-ის A ალელის სიხშირე მნიშვნელოვნად მაღალი იყო ჯანმრთელ ინდივიდებში ექსფოლიაციური გლაუკომის მქონე პაციენტებთან შედარებით ( $p=0.0002$ ) და ის დაავადების განვითარების რისკს 4-ჯერ ზრდიდა ( $OR=4.5$ ; 95% CI 1.7464 to 12.0506). ის შეგვხვდა დაავადებულთა 83%-ში და მათი 70% აღმოჩნდა ჰომოზიგოტი 5.5-ჯერ გაზრდილი რისკით ( $p=0.0002$ ;  $OR= 5.5$ ; 95% CI: 1.8747 to 16.0444). ჰეტეროზიგოტური დამემკვიდრება ექსფოლიაციური გლაუკომის რისკს ზრდიდა 4.5-ჯერ ( $p=0.0001$ ;  $OR= 4.5$ ; 95% CI: 2.8199 to 7.2454).

rs4886776-ის G ალელი აღმოჩნდა მაღალი რისკის მატარებელი. ის შეგვხვდა დაავადებულთა 84%-ში. ის 3-ჯერ ზრდიდა ექსფოლიაციური გლაუკომის განვითარების რისკს ( $p=0.0001$ ,  $OR=2.9$ ; 95% CI 1.1815 to 7.0891). ისევე, როგორც ექსფოლიაციური სინდრომის შემთხვევაში, ექსფოლიაციური გლაუკომის მაღალი რისკი არ იყო დაკავშირებული ჰეტეროზიგოტულ დამემკვიდრებასთან, ხოლო ჰომოზიგოტური დამემკვიდრება რისკს ზრდიდა თითქმის 6-ჯერ ( $p=0.003$ ;  $OR=5.7$ ; 95% CI 1.9934 to 16.7152).

rs8042039-ის G ალელი ნანახი იქნა ყველა დაავადებულ პაციენტში და ყველა მათგანი იყო ჰომოზიგოტი. შედეგები მოცემულია მე-7 ცხრილში.

**დიაგრამა 8.** LOXL1 ექსფოლიაციური სინდრომის მქონე და ჯანმრთელ პაციენტებში



**ცხრილი 12.** LOXL1 გენების ალელებისა და გენოტიპების ასოციაცია ექსფოლიაციურ გლაუკომასთან.


SNP		Controls (n=199)	%	XFG % (n=18)	<i>P</i> value	OR (95% CI)
LOXL1 rs2165341						
Allele	A	58.5		83.3	0.0002	4.5 (1.7464 to 12.0506)
	G	41.5		16.7	0.0002	0.2 (0.0830 to 0.5726)
Genotype	AA	32.2		72.2	0.0002	5.5 (1.8747 to 16.044)
	GA	52.7		22.2	0.0002	4.5 (2.8199 to 7.2454)
	GG	15.1		5.6	0.0002	0.2 (0.0623 to 0.5334)

SEMA6A-ს A ალელი უფრო ხშირად გვხვდებოდა ექსფოლიაციური გლაუკომით დაავადებულ პაციენტებში ჯანმრთელებთან შედარებით ( $p=0.04$ ). ის 3-ჯერ ზრდიდა

დაავადების განვითარების რისკს ( $p=0.04$ ; OR= 3.4; 95% CI: 1.2676 to 2.6973). ის შეგვხვდა ჩვენი პაციენტების 86%-ში, მათი 65% იყო ჰომოზიგოტი. ჰომოზიგოტური დამემკვიდრება ექსფოლიაციურ გლაუკომის რისკს ზრდიდა თითქმის 4-ჯერ ( $p=0.002$ ; OR= 3.6; 95% CI: 1.1474 to 11.3402), ხოლო ჰომოზიგოტური - 2-ჯერ ( $p=0.002$ ; OR= 1.9; 95% CI: 1.2246 to 3.0316).

POMPის მაღალი რისკის მატარებელი A ალელი ექსფოლიაციური გლაუკომის მქონე პაციენტების 22%-ში. მისი არსებობა და ავადების განვითარების რისკს მატებდა 3-ჯერ ( $p=0.02$ ; OR= 2.7; 95% CI: 0.9931 to 2.5634). ჰეტეროზიგოტული დამემკვიდრება რისკს ზრდიდა ასევე 3-ჯერ ( $p=0.05$ ; OR= 2.7; 95% CI: 0.0937 to 24.3786), ხოლო ჰომოზიგოტური 11-ჯერ ( $p=0.05$ ; OR= 11.6; 95% CI: 0.6972 to 194.5768).

**დიაგრამა 9.** SEMA6A და POMP ექსფოლიაციური გლაუკომის მქონე და ჯანმრთელ პაციენტებში



**ცხრილი 13.** გენების ალელებისა და გენოტიპების ასოციაცია ექსფოლიაციურ გლაუკომასთან.

<b>SEMA6A- rs10072088</b>					
Allele	A	70.4	86	0.04	3.4 (1.1663 to 9.7455)
	G	29.7	14	0.04	0.2(0.1026 to 0.8574)
Genotype	AA	49.2	65.2	0.002	3.6 (1.1474 to 11.3402)
	GA	42.3	32.5	0.002	1.9 (1.2246 to 3.0316)
	GG	8.5	2.3	0.004	0.2 (0.0715 to 0.8672)
	GG	8.5	2.3	0.004	0.2 (0.0715 to 0.8672)
	Total	98/84/17 (AA/GA/GG)	14/3/1 (AA/GA/GG)		
<b>POMP- rs7329408</b>					
Allele	A	9.8	22	0.02	2.7 (0.9931 to 2.5634)
	G	90.2	78	0.02	0.4 (0.3901 to 1.0069)
Genotype	AA	0.5	5.6	0.03	11.6 (0.6972 to 194.5768)
	GA	18.6	33.4	0.05	2.7 (0.0937 to 24.3786)
	GG	80.9	61	0.05	0.4 (0.3483 to 0.9788)
	Total	161/37/1 (GG/GA/AA)	11-06-01		

სხვა გენების კავშირი ექსფოლიაციურ გლაუკომასთან ნანახი არ იქნა. ჩვენ ასევე შევადარეთ გენეტიკური მონაცემები ექსფოლიაციური სინდრომისა და ექსფოლიაციური გლაუკომის მქონე პაციენტებს შორის, თუმცა არც ერთი გენი არ აღმოჩნდა გლაუკომის განვითარების მაღალი რისკის მატარებელი. უნდა აღინიშნოს, რომ გლაუკომის მქონე პაციენტების ქვეჯგუფი საკმაოდ მცირე იყო, შესაბამისად, ჩვენი შედეგები შესაძლოა არ ასახავდეს სრულ სურათს.

## განხილვა

### *ექსფოლიაციური სინდრომის გავლენა კატარაქტის ქირურგიაზე*

ჩვენი კვლევა საქართველოში პირველი მცდელობაა იმისა, რომ შეფასდეს ექსფოლიაციური სინდრომის გავლენა კატარაქტის ქირურგიის გამოსავლებზე. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ჩვენი პაციენტების თითქმის მეოთხედს ჰქონდა ვიწრო გუგა, დაახლოებით მეექვსედს აღნიშნებადა ცინის იოგების სისუსტე და დიალიზი, მათ მეათედს - ძალიან ვიწრო ან ძალიან ღრმა წინა საკანი, რაც ქირურგისთვის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორებია. რათქმაუნდა, ეს ფაქტორები ძალიან ხშირად გვხვდება ერთდროულად, რაც კიდევ უფრო ართულებს ქირურგის საქმეს.

ლიტერატურაში გვხვდება კვლევები, რომლებიც ასევე აღწერენ ამ საკითხებს ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებში. ექსფოლიაციური სინდრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს ისეთი მდგომარეობებისთვის, როგორცაა ცინის იოგების დიალიზი (OR 6.89), ბროლის ბირთვის ლუქსაცია (OR 9.49), ინტრაოპერაციული მიოზი (OR 2.15). ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ნორმასთან შედარებით, ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებში ბევრად ხშირი იყო მეოთხე ხარისხის კატარაქტა ( $P = 0.001$ ) და 6მმ-ზე ნაკლები დიამეტრის გუგა ფაკოემულსიფიკაციის დროს ( $P < 0.001$ ). ინტრაოპერაციული გართულებების სიხშირე, კი ამ კვლევის მიხედვით, არ განსხვავდებოდა საკონტროლო ჯგუფისგან (2.9% და 1.9%,  $P = 0.29$ ).

ასევე არსებობს კვლევები, რომლებიც უკანა კაფსულის დარღვევის სიხშირეს აფასებენ ექსფოლიაციური სინდრომის მქონე და არმქონე პაციენტებში. სხვადასხვა კვლევების



მიხედვით, რისკი იზრდება 6-ჯერაც კი დაავადებულ პაციენტებში. ჩვენ რაიმე კავშირი უკანა კაფსულის დარღვევის სიხშირესა და ექსფოლიაციურ სინდრომს შორის ვერ აღმოვაჩინეთ. ჩვენს შემთხვევაში ამ გართულების სიხშირე არ განსხვავდებოდა ორ ჯგუფს შორის. იგივე ავტორები აღნიშნავენ უკანა კაფსულის დაღრვევის მნიშვნელოვნად შემცირებულ სიხშირეს, იმ შემთხვევებში, როდესაც ხელოვნური ბროლის იმპლანტაცია ხდებოდა შემღვრეული ბროლის ბოლო კვადრანტის მოცილებაში.

მინისებრის დაღვრა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გართულებაა კატარაქტის ქირურგიაში, ლიტერატურაში დაახლოებით შემთხვევების 4%-ში გვხვდება. ავტორების უმეტესობა ამ გართულებას ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებში აწყდება, რაც ასევე დაფიქსირდა ჩვენს კვლევაში.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი პაციენტების მესამედს აღნიშნება ექსფოლიაციური სინდრომი, მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვნად ართულებს ქირურგიას და საჭიროებს ქირურგის მაღალკვალიფიციურობას, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში, ეს მდგომარეობა მნიშვნელოვან წნეხს წარმოადგენს კატარაქტის ქირურგიაში.

ექსფოლიაციური ნივთიერების აღმოჩენამ სხვადასხვა ორგანოში, როგორცაა ფილტვები, ღვიძლი, კანი, მენინგები და რაც მთავარია, სისხლძარღვები, წარმოშვა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ექსფოლიაციური სინდრომი შესაძლოა დაკავშირებული იყოს სხვადასხვა სისტემური დაავადებების გაზრდილ რისკთან. ზოგმა კლინიკურმა კვლევამ ასევე ივარაუდა მსგავსი კავშირის არსებობა, თუმცა სხვა კვლევებში ეს არ დადასტურდა. მაგალითად, Citiric-ისა და კოლეგების კვლევამ აჩვენა, რომ ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებში ბევრად ხშირია გულის იშემიური დაავადების

გავრცელება. მსგავსი შედეგი აჩვენა French-ის კვლევამაც, სადაც ასევე ნაჩვენებია იქნა კავშირი ცარდიომიოპათიისა და აორტის ანევრიზმების სიხშირესთან. მაორეს მხრივ მსგავსი კავშირები არ გამოვლენილა Emiroglu-სა და Tarkannen-ის კვლევებში. პათოგენეზური მექანიზმები უცნობია, თუმცა რამდენიმე გზა არის ნავარაუდევო. ექსფოლიაციური ნივთიერება გროვდება ენდოთელიუმის გარშემო, არღვევს ნორმალურ ბაზალურ მემბრანას და მის ფუნქციას. მეორეს მხრივ, საკმაოდ ძლიერი ვაზოკონსტრიქტორის, ენდოთელინ-1-ის მომატებული კონცენტრაცია სისხლში იწვევს სისხლძარღვების კედლების ელასტიურობის დაქვეითებას და რეზისტენტობის ზრდას<sup>7</sup>. ჰომოცისტეინის მომატებული დონე, რაც ასევე ასოცირდება ექსფოლიაციურ სინდრომთან<sup>8</sup>, ასევე შესაძლოა იწვევდეს სისხლძარღვების კედლების ელასტიურობის დაქვეითებას. გარდა ამისა, ამ მექანიზმებში მატრიქს მეტალოპროტეინაზების და მათი ინჰიბიტორების დარღვეული ჰომეოსტაზიც შესაძლოა თამაშობდეს როლს. ყველა ეს ფაქტორი ერთად, შესაძლოა ზრდიდეს სისხლძარღვოვანი დაავადებების განვითარების რისკს ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებში.

ბევრმა კვლევამ აჩვენა ექსფოლიაციური სინდრომის კავშირიცერებრალურიშემიასთან. Yuksel-მადათანაავტორებმა მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ ტვინის თეთრ ნივთიერებაში<sup>2</sup>-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება იშემიური კერები ექსფოლიაციური სინდრომისა და გლავუკომის მქონე პაციენტებში ვიდრე ჯანმრთელ ინდივიდებში. Akarsu-ს კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვნად დაქვეითებული დოპლეროგრაფიული ტრანსკრანიალური პარამეტრები, ხოლო Rittland-მა აღმოაჩინა, რომ ექსფოლიაციური სინდრომის მქონე პაციენტებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მწვავეცერებროვასკულარული

